ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

საწვავის შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

20 ივნისი, 2011 წ.

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ენგურჰესი" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორთა საბჭო
თავმჯდომარის ლევან მებონიას სახით და მეორეს მხრივ, ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (შემდგომში
მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვასილ ხორავას სახით, ვხელმძღვანელობთ რ
საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საავტომობილო საწვავის შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 მარტის №81 ასევე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №35 დადგენილებების საფუძვლად.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

ა) 7000 ლიტრი რეგულარის მარკის საწვავი „ევრო რეგულარი";

ბ) 4000 ლიტრი დიზელი „დიზელ ენერჯი".

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში:

ა) ერთი ლიტრი რეგულარის მარკის საწვავი „ევრო რეგულარი" ფასი შეადგენს 2.17 ლარს (შესაბამისად, 7000 ლიტრის საერთო ღირებულებაა – 15190 ლარი);

ბ) ერთი ლიტრი დიზელის „დიზელ ენერჯი" ფასი შეადგენს 2.22 ლარს (შესაბამისად, 4000 ლიტრის საერთო ღირებულებაა – 8880 ლარი).

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 24070 (ოცდაოთხი ათას სამოცდაათი) ლარს, რაც შეიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის, დ.ღ.გ.-ს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი, მისი ექსპლუატაციის დროს არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2 ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მოხდება ქ. ზუგდიდში - თვითგატანით.

4.2 საქონლის გატანა მიმწოდებლის ობიექტიდან – ქ. ზუგდიდში, დ. აღმაშენებლის ქ. №89-ში მდებარე ავტოგასამართი სადგურიდან მოხდება შემსყიდველის მიერ მისი ნდობით აღჭურვილი პირის საშუალებით მინდობილობის წარდგენის შემდეგ, საქონლის მიღება-ჩაბარების დოკუმენტის გაფორმების საფუძველზე. (შესაძლებელია მიღება-ჩაბარების აქტის შეცვლა სპეციალური საგადასახადო ანგარიშ ფაქტურით).

4.3 საქონლის გატანა ქ. ზუგდიდიდან მოხდება შემსყიდველის მიერ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნების სრული დაცვით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველი საქონლის მიწოდების შესახებ აცნობებს მიმწოდებელს 72 საათით ადრე. საქონლის მიწოდების შემდეგ შემსყიდველი დაამოწმებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას, რომელიც წარმოადგენს საწვავის გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს.

5.2 მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

5.3 შემსყიდველის მხრიდან საწვავის მიღების მიღება-ჩაბარებაზე და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია ავთანდილ ჯინჯოლია პ/ნ : 62006019384

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საწვავის ღირებულება შემდეგ ვადაში: საწვავის ყოველი პარტიის მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- უარი თქვას უხარისხო საქონლის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- გააფრთხილოს შემსყიდველი საქონლის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

8.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 1 ივლისამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება საწვავის ფასების ცვლილების მექანიზმს არ ითვალისწინებს.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა,

ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასარულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ეკისრება შემსყიდველის მიერ შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეზღუდვების გარეშე უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

შ.პ.ს. „ენგურჰესი“
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №50
ს/ს „პროკრედიტბანკის“ ქუთაისის ფილიალ
ფილიალი ზუგდიდის განყოფილება
ბ/კოდი: 220101929
ა/ა № 301467126
ს/კოდი: 251716371
მობ: 595238279
ელ.ფოსტა: l.tabidze@engurhesi.ge
შ.პ.ს. „ენგურჰესის“ დირექტორთა
საბჭოს თავმჯდომარე

ლ. მებონია

მიმწოდებელი:

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ
ს/ს „თი-ბი-სი ბანკის“
მარჯანიშვილის ფილიალი
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“
გენერალური დირექტორი

ვ. ხორავა